ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ა/წლის 7 სექტემბრის №10/9712 წერილის საფუძველზე, საჯაროდ გამოქვეყნების მიზნით, დანართის სახით, წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის შორენა ბუხრაშვილის 2016 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2017 წლის ნოემბრის თვემდე გაწეული მუშაობის ანგარიშს.

დანართი: 12 (თორმეტი) ფურცელი და

1 CD-დისკი.

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი შორენა ბუხრაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 13 ფურცელი
№ 10/9712 11.10.17

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის შორენა ბუხრაშვილის 2016 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2017 წლის ნოემბრის თვემდე გაწეული მუშაობის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენისა და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №26-113 დადგენილების დანართი №2-ით დამტკიცებული წესის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს 2016 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2017 წლის ნოემბრის თვემდე გაწეული მუშაობის შესახებ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის შორენა ბუხრაშვილის აქტივობა:

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე.
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი.
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია “ეროვნული ფორუმის” მდივანი.

- საბურთალოს რაიონის (დიდი დიღომი, სოფელი დიღომი, ვაშლიჯვარი) მაჟორიტარი წევრი.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა.
- სხვა აქტივობები.

2016 წლის 1-ლი ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე გაწეული მუშაობის ანგარიში

❖ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისის თავმჯდომარის საქმიანობა

მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, 2016 წლის 1-ლი ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე, საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-7 დადგენილებით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში, განვახორციელე შემდეგი სამუშაოები:

2016 წლის 1-ლი ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე გაიმართა კომისიის 6 სხდომა, რომელზეც განხილული იქნა კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული შემდეგი 12 საკითხი:

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 10 პროექტი).

  კომისიის მიერ განხილული ფუნქციური ზონების ცვლილების საკითხებიდან, ის წინადადებები, რომლებიც სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ არადამაკმაყოფილებელი დასაბუთების და/ან დოკუმენტაციის გარეშე იქნა წარმოდგენილი, სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებით, უარყოფითად შეფასდა და/ან გადაიდო მათი განხილვა დამატებითი შესწავლისთვის. ფუნქციური ზონების ცვლილების (მათ შორის, კომისიის მიერ დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული ან უარყოფითად შეფასებული წინადადებების/პოზიციების) თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, შესაბამისი სამართლებრივი დასკვნების საფუძველზე, ეცნობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 2 პროექტი).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის“ პროექტის განხილვისას, კომისიამ საკრებულოს წარუდგინა შესაბამისი შენიშვნები და წინადადებები ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პროგრამების დაფინანსების შემცირების, ასევე, მუნიციპალური პროგრამების - „ვერეს ხეობის და მზიურის პარკის სარეკრეაციო ზონის მოწყობისა“ და „დენდროლოგიური პარკის რეაბილიტაციის“ პროექტების დაფინანსების შეწყვეტის მიზანშეუწონლობის თაობაზე. მიუხედავად არაერთი თხოვნისა და მოთხოვნისა, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის“ ფორმირებისას, კომისიის რეკომენდაციები დედაქალაქის მთავრობის მიერ გათვალისწინებული არ იქნა.

კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის შემდეგ, მომზადდა და საკრებულოს წარედგინა 12 სამართლებრივი დასკვნა.

2016 წლის 1-ლი ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე კომისიაში განსახილველად შემოსული წერილები/განცხადებები

2016 წლის 1-ლი ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე კომისიაში შემოვიდა 11 განცხადება/წერილი, მათ შორის:

- 3 განცხადება/წერილი უშუალოდ გარემოს დაცვის კომისიის კომპეტენციას განეკუთვნებოდა და შესაბამისი რეაგირება განხორციელდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის თანახმად (შემდგომი განხილვის მიზნით გადაიგზავნა შესაბამის მუნიციპალურ ორგანოებში და შუალედური პასუხი ეცნობა მოქალაქეებს);
- 2 წერილის (განცხადების) საფუძველზე გათხოვნილი იქნა საჯარო ინფორმაცია;
- 4 წერილი/განცხადება მიღებული იქნა ცნობის სახით;
- 2 განცხადება/წერილი განხილული იქნა საკრებულოს სხვა კომისიებთან ერთობლივად და კომისიათა შეთანხმების საფუძველზე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის თანახმად, გადაიგზავნა შესაბამის ორგანოებში.

2016 წლის 1-ლი ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე კომისიის მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია

2016 წლის 1-ლი ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე, სხვადასხვა სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოებიდან, კომისიის მიერ გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაციები - სულ: 3 წერილი.

❖ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრის საქმიანობა

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ, 2016 წლის წლის 1-ლი ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე ჩატარებული 3 სხდომიდან მონაწილეობა მივიღე 1 სხდომაში.

აღსანიშნავია ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ განხილული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური შემდეგი პროგრამები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების წესების დამტკიცების შესახებ (წერილი №04/20620 22.12.2016 წ.);
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 აგვისტოს №19-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. (წერილი №04/20618 22.12.2016 წ.).

❖ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ეროვნული ფორუმის" წევრის (ფრაქციის მდივნის) საქმიანობა

მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ეროვნული ფორუმის" წევრი (ფრაქციის მდივანი), 2016 წლის წლის 1-ლი ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე დავესწარი ფრაქციის მიერ ჩატარებულ 7 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 36 საკითხის განხილვაში.

❖ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საბურთალოს რაიონის (დიდი დიღომი, სოფელი დიღომი, ვაშლიჯვარი) მაჟორიტარი წევრის საქმიანობა

მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საბურთალოს რაიონის (დიდი დიღომი, სოფელი დიღომი, ვაშლიჯვარი) მაჟორიტარი წევრი სისტემატიურად ვხვდები საბურთალოს რაიონის (დიდი დიღმის, სოფელი დიღმის, ვაშლიჯვრის) მოსახლეობას. მოსახლეობასთან ადგილზე შეხვედრისათვის გამოყოფილია კვირაში ერთი, ოთხშაბათი დღე, მაჟორიტარის ბიუროს ოფისში (მისამართი: ქ. თბილისი, პეტრიწის ქ. №8).

2016 წლის წლის 1-ლი ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე, ოთხშაბათობით მოსახლეობასთან შეხვედრის ფორმატში შედგა 2 შეხვედრა, სადაც ათმა მოქალაქემ

მომმართა მათთვის მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში დახმარების თხოვნით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის რანგში მივიღე, განვიხილე და რეაგირება - შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებისათვის შუამდგომლობით მიმართვის საფუძველზე, - განვახორციელე ფიზიკური და იურიდიული პირების 2 განცხადება/წერილზე.

განხილული 2 განცხადება/წერილიდან:

1) სოციალურ თემატიკას განეკუთვნებოდა - 2 განცხადება/წერილი.

❖ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა**

მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს მიერ, 2016 წლის წლის 1-ლი ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე ჩატარებული 8 სხდომიდან დავესწარი 7 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 101 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (აქედან, 76 დადგენილების და 25 განკარგულების პროექტის) განხილვა-მიღების პროცესში.

❖ **სხვა აქტივობები:**

მედიასთან ურთიერთობა:

აქტიურად ვთანამშრომლობ მას-მედიის წარმომადგენლებთან, რადგან მიმაჩნია, რომ დედაქალაქის წინაშე არსებული სხვადასხვა პრობლემური საკითხის გადაწყვეტაში, საზოგადოების თითოეული წევრი უნდა იყოს ჩართული. ამ მიზნით, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრს, 2016 წლის 1-ლი ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე, მონაწილეობა მაქვს მიღებული შემდეგ გადაცემაში:

- სტუმრად მედია კავშირ „ობიექტივზე“.

2017 წლის იანვრიდან ნოემბრის თვემდე გაწეული მუშაობის ანგარიში

❖ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის საქმიანობა**

2017 წლის იანვრიდან ნოემბრის თვემდე გაიმართა კომისიის 20 სხდომა, რომელზეც განხილული იქნა კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული 69 საკითხი, მათ შორის:

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 51 პროექტი).

ის წინადადებები, რომლებიც სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ არადამაკმაყოფილებელი დასაბუთების და/ან დოკუმენტაციის გარეშე იქნა წარმოდგენილი, სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებით, უარყოფითად შეფასდა და/ან გადაიდო მათი განხილვა დამატებითი შესწავლისთვის. ფუნქციური ზონების ცვლილების (მათ შორის, კომისიის მიერ დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული ან უარყოფითად შეფასებული წინადადებების/პოზიციების) თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, შესაბამისი სამართლებრივი დასკვნების საფუძველზე, ეცნობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

- „ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების“ პროექტი (სულ: 1 პროექტი);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 3 პროექტი);

- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დაფუძნების და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-56 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 1 პროექტი);

- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-93 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 2 პროექტი);

- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 2 პროექტი);

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-117 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 1 პროექტი);

- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 2 პროექტი);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსად გიორგი წერეთლის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (სულ: 1 პროექტი);

- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 1 პროექტი);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 2 პროექტი).

კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის შემდეგ, მომზადდა და საკრებულოს წარედგინა 61 სამართლებრივი დასკვნა.

ასევე, კომისიის სხდომის ფორმატში მოსმენილი იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

დამატებით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს მიმდინარე წლის 9 აგვისტოს, თბილისის ცენტრში, მთაწმინდის ფერდობზე გაჩენილი ხანძრის თაობაზეც, რომლის შედეგად დაიწვა და დაზიანდა 2 ჰექტრამდე მიწის ფართობზე გაშენებული მრავალწლოვანი ხე-ბუჩქოვანი მცენარეები და ფერდობის ბალახოვანი საფარი, რაც დედაქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ცუდად აისახა და შესაბამისი აღდგენითი ღონისძიებების გარეშე, უფრო გაართულებს შექმნილ ვითარებას.

კომისიამ, 2017 წლის 10 აგვისტოს სხდომაზე (ოქმი №17) მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, 2017 წლის 14 აგვისტოს წინადადება-ინიციატივით (წერილი №10/9005 14.08.2017წ.) მიმართა ქალაქ თბილისის საკრებულოს და ითხოვა დედაქალაქის მთავრობის მიერ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში“ ცვლილების შეტანით (გამწვანების ღონისძებების პროგრამის (კოდი: 03 00) დაფინანსების გაზრდით), მთაწმინდის ფერდობის სარეაბილიტაციო ღონისძიებების (ტერიტორიის შესწავლის, საშემოდგომო რგვებისთვის მოზადების, ახალი ნერგების შეძენისა და დარგვის, შემდგომი მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფით, დაზიანებული ხეების მოჭრისა და ტერიტორიიდან გატანის) დაფინანსების უზრუნველყოფა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კომისიამ „სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველოს“ წერილობითი თხოვნის (წერილი №07/6188 25.05.2017წ.) საფუძველზე 2017 წლის 30 მაისს გამართა სამუშაო შეხვედრა დედაქალაქში ხეების ჭრის, მიზანმიმართული დაწვისა და გახმობის ფაქტების, ასევე, დედაქალაქში არსებული მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გასახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე. აღნიშნულ სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრებმა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი საქალაქო სამსახურებისა და „სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველოს“ წარმომადგენლებმა.

2017 წლის იანვრიდან ნოემბრის თვემდე კომისიაში განსახილველად შემოსული წერილები/განცხადებები

2017 წლის იანვრიდან ნოემბრამდე კომისიაში შემოვიდა 47 განცხადება/წერილი. აქედან:

- 9 განცხადება/წერილი უშუალოდ გარემოს დაცვის კომისიის კომპეტენციას განეკუთვნებოდა და შესაბამისი რეაგირება განხორციელდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის თანახმად (შემდგომი განხილვის მიზნით გადაიგზავნა შესაბამის მუნიციპალურ ორგანოებში და შუალედური პასუხი ეცნობა მოქალაქეებს);
- 11 წერილის (განცხადების) საფუძველზე გათხოვნილი იქნა საჯარო ინფორმაცია;
- 22 წერილი/განცხადება მიღებული იქნა ცნობის სახით;
- 5 განცხადება/წერილი განხილული იქნა საკრებულოს სხვა კომისიებთან ერთობლივად და კომისიათა შეთანხმების საფუძველზე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის თანახმად, გადაიგზავნა შესაბამის ორგანოებში.

2017 წლის იანვრიდან ნოემბრის თვემდე კომისიის მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია

2017 წლის იანვრიდან ნოემბრის თვემდე, სხვადასხვა სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოებიდან, კომისიის მიერ გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაციები - სულ: 16 წერილი.

❖ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრის საქმიანობა

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ, 2017 წლის იანვრიდან ნოემბრის თვემდე ჩატარებული 11 სხდომიდან მონაწილეობა მივიღე 9 სხდომაში.

აღსანიშნავია ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ განხილული და 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების შემდეგი პროგრამები:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 აგვისტოს №19-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. (№04/776 18.01.2017წ.)

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების წესების დამტკიცების შესახებ (№04/778 18.01.2017წ.)

   - დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესი (კოდი: 06 01 02)
   - C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ქვეპროგრამის განხორციელების წესი (კოდი: 06 01 12)

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-92 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№04/2021 14.02.2017წ.)

   - „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი”

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (№04/2516, 24.02.2017წ.)

5. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამის განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-92 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (№04/6392 01.06.2017 წელი)

- **„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი"**

6. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ანგარიშის მოსმენა, უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შესახებ (წარმოდგენილი ინფორმაცია მიღებული იქნა ცნობად).

7. პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის #30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (04/8353, 21 ივლისი 2017 წელი).

❖ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ეროვნული ფორუმის" წევრის (ფრაქციის მდივნის) საქმიანობა

მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ეროვნული ფორუმის" წევრი (ფრაქციის მდივანი), დავესწარი ფრაქციის მიერ 2017 წლის იანვრიდან ნოემბრის თვემდე ჩატარებულ 15 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 96 საკითხის განხილვაში.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ეროვნული ფორუმის" სახელით, ჩემ მიერ:

1) გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურიდან;

2) ინიცირებული იქნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, რომლის მიღების შემთხვევაში, საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კენჭისყრის შედეგები გამოქვეყნდებოდა პროაქტიულად საჯარო ინფორმაციის სახით, რაც უზრუნველყოფდა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის, ასევე, დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს საქმიანობის საჯაროობისა და გამჭირვალობის მაღალ ხარისხს.

❖ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საბურთალოს რაიონის (დიდი დიღომი, სოფელი დიღომი, ვაშლიჯვარი) მაჟორიტარი წევრის საქმიანობა

მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საბურთალოს რაიონის (დიდი დიღომი, სოფელი დიღომი, ვაშლიჯვარი) მაჟორიტარი წევრი სისტემატიურად ვხვდები საბურთალოს რაიონის (დიდი დიღმის, სოფელი დიღმის, ვაშლიჯვრის)

მოსახლეობას. მოსახლეობასთან ადგილზე შეხვედრისათვის გამოყოფილია კვირაში ერთი, ოთხშაბათი დღე, მაჟორიტარის ბიუროს ოფისში (მისამართი: ქ. თბილისი, პეტრიწის ქ. №8).

ოთხშაბათობით მოსახლეობასთან შეხვედრის ფორმატში, 2017 წლის იანვრიდან ნოემბრის თვემდე შედგა 20 შეხვედრა, სადაც 140-მდე მოქალაქემ მომმართა მათთვის მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში დახმარების თხოვნით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის რანგში მივიღე, განვიხილე და რეაგირება - შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებისათვის შუამდგომლობით მიმართვის საფუძველზე, - განვახორციელე ფიზიკური და იურიდიული პირების 78 განცხადება/წერილზე.

განხილული 78 განცხადება/წერილიდან:

1) სოციალურ თემატიკას განეკუთვნებოდა - 66 განცხადება/წერილი.

დაკმაყოფილდა - 22 განცხადება/წერილი;

2) სხვა პრობლემატურ საკითხებზე გაეწია შუამდგომლობა 12 განცხადება/წერილზე.

❖ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა**

მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს მიერ, 2017 წლის იანვრიდან ნოემბრამდე ჩატარებული 19 სხდომიდან დავესწარი 16 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 488 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (აქედან, 68 დადგენილების და 420 განკარგულების პროექტის) განხილვა-მიღების პროცესში.

❖ **სხვა აქტივობები:**

1. **ღონისძიებები:**

- **საქმიანი შეხვედრა პარლამეტში თემაზე: საკანონმდებლო ცვლილება;**

- **დიდი დიღმის განახლებული სოციალური სასადილოს მონახულება და ბენეფიციარებთან შეხვედრა;**

- **დიდი დიღმის საუბნო სამსახურის მონიტორინგი;**

- **მონაწილეობის მიღება საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმში. მიზანი: ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდა და ადგილობრივი განვითარების პოლიტიკის შექმნა.**

2. მედიასთან ურთიერთობა:

აქტიურად ვთანამშრომლობ მას-მედიის წარმომადგენლებთან, რადგან მიმაჩნია, რომ დედაქალაქის წინაშე არსებული სხვადასხვა პრობლემური საკითხის გადაწყვეტაში, საზოგადოების თითოეული წევრი უნდა იყოს ჩართული. ამ მიზნით, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრს, მრავალ ტელე და რადიო გადაცემაში მაქვს მონაწილეობა მიღებული.

კერძოდ:

- სტუმრად გადაცემაში „თავისუფალი ტრიბუნა“ (16.01.2017წ.);
- სტუმრად მედია კავშირ „ობიექტივზე“ (14.01.2017 წ; და 30.03.2017წ.);
- პრესკონფერენცია პორტალ „კვირაში“ (17.02.2017წ; და 21.09.2017წ.);
- ჩართვა „პირველი არხის“ ეთერში. **თემა:** „მიმდინარე წლის 9 აგვისტოს, თბილისის ცენტრში, მთაწმინდის ფერდობზე გაჩენილი ხანძარი“ (09.08.2017წ.);
- სტუმრად რუსთავი 2-ის გადაცემა „განსხვავებულ აქცენტებში“. **თემა:** „დაპირისპირება საკრებულოში და ბ. ივანიშვილის ბიზნეს-ინტერესების სასარგებლოდ მიღებული მორიგი გადაწყვეტილებები“ (30.09.2017წ.).

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი შორენა ბუხრაშვილი